# ლელო

ივლისი.1995 წ.
ფასი 800 რუბლი, ან 200 000 კუპონი.

№25
(10936)

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ოცდამეცხრე ციფრებში

ათენში ახლახან დამთავრებული კალათბურთელ ვაჟთა ევროპის 29-ე ჩემპიონატის უმთავრესი მატჩები სპორტის მოყვარულებმა ტელევიზიით ნახეს. მათზე ხელახალ საუბარს, ცხადია, აზრი არა აქვს. ამიტომ შემოგთავაზებთ ჩემპიონატის მხოლოდ ტექნიკურ შედეგებს.

საინტერესოა, რომ ფინალის ორივე მონაწილე — იუგოსლავიაცა და ლიტვაც ერთ წინასწარ ჯგუფში გამოდიოდნენ და ჯგუფური ტურნირის შედეგი, მეტნაკლებად განმეორდა გადამწყვეტ ორთაბრძოლაში.

**ჯგუფური ტურნირი:**

**იუგოსლავია.** ლიტვასთან — 70:61, საბერძნეთთან — 84:80, იტალიასთან — 87:74, ისრაელთან — 72 : 59, გერმანიასთან — 92:79. შვეციასთან — 85:58. იუგოსლავის ნაკრებმა ჩემპიონატის პირველ ეტაპზე დააგროვა ქულათა მაქსიმუმი — 12, ბუნებრივია, გატანილი და მიღებული ქულების დადებითი სხვაობით 490-411.

**ლიტვა.** იუგოსლავიასთან — 61:70, საბერძნეთთან — 89:73, იტალიასთან — 80:69, ისრაელთან — 91:75, გერმანიასთან — 96:82, შვეციასთან — 97:73. ლიტველებმა დააგროვეს ქულით ნაკლები — 11. ბურთების შეფარდება 513-442.

**ჩემპიონატის პირველი ეტაპის (რეგულარული ტურნირის) შედეგად გამოვლინდნენ, უძლიერესი კალათბურთელები სხვადასხვა ნომინაციებში:**

სნაიპერი: არიან კომაზეცი (ხორვატია) — 25,5 პროცენტი.
ფარქვეშ: არვიდას საბონისი (ლიტვა) — 15,2
გადაცემები: ტონი კუკოჩი (ხორვატია) — 6,5
ჩაჭრა: ჟორჟ სიგალასი (საბერძნეთი) — 2,5
ორქულიანები: დეიან ბოდიროგა (იუგოსლავია) — 44,2.
სამქულიანები: შარუნას მარჩიულიონისი (ლიტვა) — 61,9.
საჯარიმოები: ჟორჟ სიგალასი (საბერძნეთი) — 91,3.

**მეოთხედფინალები:** იუგოსლავია — საფრანგეთი 104:86, საბერძნეთი — ესპანეთი, 66:64, ხორვატია — იტალია 71:61, ლიტვა-რუსეთი 82:71. წაგებულთა საკვალიფიკაციო მატჩები: ესპანეთი — საფრანგეთი 75:74, იტალია — რუსეთი 80:70.

**ნახევარფინალები:** იუგოსლავია — საბერძნეთი 60:52, ლიტვა-ხორვატია 90:80.

**ფინალები.** I-II ადგილებისთვის. იუგოსლავია - ლიტვა 96:90; III-IV ადგილებისთვის. ხორვატია — საბერძნეთი 73:68, V-VI ადგილებისთვის. იტალია-ესპანეთი 82:75, VII-VIII ადგილებისთვის. რუსეთი-საფრანგეთი 108:89.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ შეჯამდა ლაურეატთა საბოლოო სიები. საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ დასახელებული არიან: სნაიპერებში. არიან კომაზეცი (ხორვატია) — 23,7 პროცენტი, ფარქვეშ ბრძოლაში. არვიდას საბონისი (ლიტვა) — 14,5 პროცენტი; გადაცემებში. შარუნას მარჩიულიონისი (ლიტვა) — 5,9 პროცენტი, გადაცემათა ჩაჭრაში. დორონ შეფერი (ისრაელი) — 2,1 პროცენტი, ორქულიანებში. სერგეი ბობკოვი (რუსეთი) — 70,9 პროცენტი; სამქულიანებში. მარკუ ლარკიო (ფინეთი) — 60,0 პროცენტი; საჯარიმოებში. ფერან მარტინესი (ესპანეთი) — 89,3 პროცენტი; ყველაზე სასარგებლო მოთამაშეებში. არვიდას საბონისი — 0,942 პროცენტი.

იხ. მე-4 გვ.

## ევროპა — 1997, კენჭისყრა

ათენში, ევროპის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მოეწყო მომავალი, 1 997 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის კენჭისყრა. როგორც უკვე ვწერდით, ამ ეტაპზე იბრძოლებს ხუთ ჯგუფად დაყოფილი 30 კოლექტივი. მატჩები დაიწყება 8 ოქტომბერს, მიმოსვლით, ორ წრედ და დამთავრდება 1 997 წლის 26 თებერვალს. ყოველი ჯგუფიდან ორი უძლიერესი გააგრძელებს ბრძოლას ფინალში ევროპის მომავალი ჩემპიონატის მედლებისათვის.
კენჭისყრით გუნდები ჯგუფებში განაწილდნენ ასე:

**A ჯგუფი**

1. საბერძნეთი
2. ისრაელი
3. ბოსნია
4. სლოვაკეთი
5. ბელარუსი
6. საქართველო

**B ჯგუფი**

1. რუსეთი
2. გერმანია
3. ესტონეთი
4. ლატვია
5. პორტუგალია
6. ინგლისი

**C ჯგუფი**

1. იტალია
2. სლოვენია
3. ფინეთი
4. ჩეხეთი
5. უნგრეთი
6. მაკედონია

**D ჯგუფი**

1. ხორვატია
2. თურქეთი
3. ბულგარეთი
4. უკრაინა
5. ჰოლანდია
6. რუმინეთი

**E ჯგუფი**

1. ლიტვა
2. საფრანგეთი
3. შვედეთი
4. ბელგია
5. პოლონეთი
6. შვეიცარია

## კურატორი უეფადან გვაფრთხილებს
### მოთხოვნები მკაცრია — სიტყვა ჩვენზეა!

**საქართველო დიდი ფეხბურთის მოლოდინშია, ამასთან დაკავშირებით ბათუმს, ქუთაისს და თბილისს საინსპექციო ვიზიტით ეწვია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს უფროსი ერიხ ეპლე. იგი გაეცნო ევროტურნირების მატჩებისთვის ჩვენი სტადიონების მზადების მიმდინარეობას. ვიზიტის დამთავრების შემდეგ სტუმარი მიიღო საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ.**



— თქვენი ქვეყნიდან სამი გუნდის მონაწილეობის საკითხი მე წარვადგინე „ტასკ ფორსის“ სხდომაზე, რაც დადებითად გადაწყდა. ამაში კი დიდი როლი ითამაშა თქვენი ეროვნული ნაკრების ბოლოდროინდელმა წარმატებებმა. გასარკვევია, ახლა თქვენი გუნდები საკუთარ თუ სხვა მოედანზე ითამაშებენ და ჩემი ჩამოსვლის მიზანიც ეს არის. ბათუმმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სამტრედია-ქუთაისში არის საიმედო პერსპექტივა, თბილისში „დინამოს“ სტადიონზე კი როგორც ერთი წლის წინათ, კვლავ ბევრი რამაა მოსაგვარებელი, რაც შემაშფოთებელია — თქვა ეპლემ. სტუმარს არც ის დაუფარავს, რომ უეფას კომიტეტის ინსპექტორები რომ ჩამოსულიყვნენ, თბილისის სტადიონს არ მიიღებდნენ, გაგვაფრთხილა, იმ დროისთვის, როცა საქართველოში უეფას პრეზიდენტი და გენერალური მდივანი ჩამოვა, ყველაფერი უნდა მოესწროს. სტუმარმა განსაკუთრებით კმაყოფილება გამოთქვა ჩვენში ბავშვთა ფეხბურთზე მზრუნველობისათვის, ითქვა, რომ უეფას დახმარების პროგრამა ამ მიმართებით კვლავაც გაგრძელდება.

სფფს პრეზიდენტმა ნ. ახალკაცმა აღნიშნა: სამი გუნდის დაშვება ევროტურნირებში მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან უეფა უმკაცრეს პირობებსა და მოთხოვნებს უყენებს გუნდებს, მათ შორის უსაფრთხოებისას. დრო ცოტაა, თუ პირველი მატჩები სტუმრად გაიმართება, ორ კვირას მოვიგებთ. ეპლემ ბევრი გააკეთა, სტიმული მოგვცა, გარდა უკვე გაწეული დახმარებისა გადაწყვეტილია უეფამ ჩვენში განახორციელოს დახმარების ერთი სოლიდური პროექტი.

ვ. გოგუაძემ მადლობა გადაუხადა სტუმარს, თქვა, რომ თავად და პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარე ბ. ხურციძე, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, ყველაფერს გააკეთებს ინსპექტირებისას გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. ვ. გოგუაძემ სტუმარს უთხრა: ჩვენში ყველაზე დიდი პოლიტიკაა ფეხბურთი, იგი ზეიმია ხალხისთვის, იმედისა და ძალის მომცემი. იმდენად მომხიბლავია ფეხბურთი, რომ დეპუტატებმა გადავწყვიტეთ ვეთამაშოთ ჟურნალისტებს. თუ მოვიგებთ, პრეტენზია გვექნება უეფას ტურნირში გამოვიდეთ. ეპლემ, ასევე ხუმრობით, იქვე უპასუხა: თუ სხვა პრობლემები არ გექნებათ, მაგ საკითხს მოვაგვარებთ.

შეხვედრას ესწრებოდნენ საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ბ. ხურციძე და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მ. მნათობიშვილი.

საკუთარი ინფორმაცია

სურათზე: ერიხ ეპლე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

### „შევარდენი-1906“ იყიდა „ლოკომოტივმა“

ცნობილი გახდა, რომ თბილისის „შევარდენი-1906“ შეიძინა რკინიგზელთა სპორტულმა უწყებამ „ლოკომოტივმა“, რომელიც სულ ახლახანს ხელახლა დაფუძნდა.

### გათამაშებიდან მოხსნის კანდიდატები

როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში არსებობს პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული ჩემპიონატის გათამაშებიდან ზოგიერთი საფეხბურთო კლუბის მოხსნას (თელავის „კახეთი“, ყვარლის „დურუჯი“, ლანჩხუთის „გურია“, წნორის „ქიზიყი“, ჩოხატაურის „ბახმარო“, ოზურგეთის „მერცხალი“, ჭიათურის „მალაროელი“, ხონის „იმერეთი“, წალენჯიხის „სქური“, ჩხოროწყუს „სამეგრელო“, ზუგდიდის „უნივერსიტეტი“ და სხვ.). ეს ის გუნდებია, რომლებიც ვერ იხდიან სამსაჯო და საინსპექტორო მომსახურების თანხას, აგრეთვე შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის არ გააჩნიათ მყარი საფინანსო გარანტიები.

### ჩოგოვაძე — რუსეთის ჩემპიონი

რუსეთის ჩემპიონატი კოშკიდან წყალში ხტომაში მოიგო გიორგი ჩოგოვაძემ, რომელიც საქართველოს აუზებში ქრონიკული უწყლობის გამო მოსკოვში ვარჯიშობს.

**საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჩოგბურთში რენა აბჟანდაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



### ვიქტორ კორჩნოი:
## არაეს არ ვსვამ პოლიტიკური მოსაზრებებით!

ცნობილმა მოსკოველმა ჟურნალისტმა ელენა ვოიცეხოვსკაიამ ეს ინტერვიუ აიღო შარშან გაზაფხულზე. მას მერე დიდოსტატის ცხოვრებაში არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა და ამდენად, საუბრის შინაარსს აქტუალობა არ დაუკარგავს.

● **სპორტი რომ არ არის ცხოვრებაში ყველაფერი, უკეთ მისახვედრია სპორტიდან წასვლის შემდეგ. საინტერესოა მოჭადრაკეებიც ასე ფიქრობენ?**

— ჭადრაკი სენია, რომელსაც ძნელად თუ დააღწევთ თავს. მით უფრო იმიტომ, რომ აზროვნებისა და ანალიზის უნარი ადამიანს სიბერემდე მიჰყვება. ასაკთან ერთად კაცი კარგავს ენერგიასა და პატივმოყვარეობას, მაგრამ ეს სხვა საქმეა. აი, როცა მოჭადრაკე დასცქერის დაფას და ფიქრობს ხომ არ სჯობს ფილმის სანახავად წავიდეო, იმას ნიშნავს, რომ დროს მოუკაკუნებია.

● **თქვენზე თუ შეიძლება თქმა ასეთი მომენტი დაუდგაო?**

— იცით რა, 1974 წელს საპრეტენდენტო მატჩი ვეთამაშე ანატოლი კარპოვს მოსკოვში, 1978 წელს უკვე მსოფლიო ჩემპიონობაზე შევხვდით ერთმანეთს ბაგიოში, 1981 წელს კი მერანოში. მე ხშირად ვადარებ ერთმანეთს ბოლო ორ მატჩს: ჰოდა, ფილიპინების შემდეგ, 1978 წელს ციურიხის ტურნირში გამოვედი, მერე ყოველგვარი შესვენების გარეშე არგენტინაში ამოვყავი თავი საჭადრაკო ოლიმპიადაზე და, უნდა გითხრათ, ცუდად არც იქ მითამაშია — პირველ დაფაზე პირველი ადგილი დავიკავე. როცა დავბრუნდი შინ, ცხელ გულზე წიგნი დავწერე. ბესტსელერი იყო მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ გამოხმაურება აშკარად ჰქონდა. ერთი სიტყვით, მაშინ არც კი მიფიქრია, დავიღალე თუ არა. მე უბრალოდ ვმუშაობდი — ეს იყო და ეს.

● **მერანოს შემდეგ?**

— მერანოს შესახებ წიგნი არ დამიწერია. ის მატჩი, რომელიც პირწმინდად ჩავაფლავე, ალბათ გადამწყვეტი იყო ჩემს ცხოვრებაში — მე დავმარცხდი ანგარიშით 2:6. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის გახლავთ, რომ ყოველი ქულისთვის კბილებით ვიბრძოდი და რომ უფრო დიდი ანგარიშით არ დავთმე მატჩი, გმირობად მიმაჩნია. კარპოვმა მერანოში ჩამოიყვანა ორმოცდასამი კაცი. ამდენივე დაემატა მის ლაშქარს ადგილზე, იტალიაში საბჭოთა საელჩოდან. მერე მოსკოვიდან ჩამოფრინდა ტურისტთა ჯგუფი ცოლებით. რუსეთიდან გამოგზავნილ სამ კონტეინერს ჩემი მეტოქე რამდენიმე საათს დარაჯობდა მილანის აეროპორტში, რათა არავის გაეხსნა იგი. ეს ტვირთი აეროპორტიდან პირდაპირ კარპოვის აგარაკზე ჩაიტანეს, რომელსაც პოლიცია იცავდა, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტს. არც ერთ ქალს, თვით ჩემპიონის მეუღლესაც კი, არ ჰქონდა აგარაკზე ცხოვრების უფლება. რა ხდებოდა იქ დღემდე არავინ იცის, ცხადია, იმათ გარდა, ვინც მაშინ აგარაკზე იმყოფებოდა.

თამაშიც, ბუნებრივია, არ იყო ჩვეულებრივი. ჭადრაკში, ისევე როგორც ყველა თამაშში, მუდამ არის ერთი ფავორიტი. მსაჯები, როგორც წესი, ფავორიტის მხარეს არიან და თუ საჭირო გახდა, ყოველმხრივ იცავენ მას, ხშირად წესების დარღვევითაც. გარდა ამისა, კარპოვი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო, მე კი...

● **ამისთვის, ჩემი აზრით, მზად უნდა ყოფილიყავით.**

(გაგრძელება მე-2 გვ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ვიქტორ კორჩნოი:

# არაყს არ ვსვამ პოლიტიკური მოსაზრებებით!

(პირველი გვერდიდან)

— მართალია, მაგრამ მე ამ მატჩს ალბათ ვერასდროს მოვიგებდი, მაშინ კი ხმამაღლა განვაცხადე, რომ კარპოვთან ერთად მაგიდას არასდროს მოვუჯდებოდი.

**● და მაინც გააგრძელეთ თამაში პრედენდენტთა ახალ ციკლში?**

— დიახ, გავაგრძელე და... ადვილად ჩამოვიცილე გზიდან პორტიში. „გაუვედი" კასპაროვზე, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ის, რაც მერე გახდა. მოვუგე პირველი პარტია, მერე რამდენიმე ყაიმი გავაკეთე. მესმის საყვედურები: შენ ფიცი დასდე, რომ კარპოვს არასდროს შეხვდებოდი, ახლა კი ცდილობ კასპაროვი დაამარცხო, რომ ისევ კარპოვზე გახვიდე! სხვათა შორის, ხშირად მეც ვუსვამდი საკუთარ თავს ასეთ შეკითხვას და ვრწმუნდებოდი, რომ ფსიქოლოგიურად ჩემი საქციელი განწირული იყო, არ მქონდა პერსპექტივა. და, აი, ლოგიკური შედეგიც — კასპაროვთან დავმარცხდი.

**● რომ გაგემარჯვათ? ნუთუ მართლა უარს იტყოდით თამაშზე?**

— ახლა ამაზე სწორი პასუხის გაცემა ძნელია, თუმცა პატივმოყვარეობა მერანოს შემდეგ ერთი-ორად გამძაფრებული გამიხდა.

**● გამოდის, რომ ჭადრაკს ამჟამად თქვენს ცხოვრებაში პირველი ადგილი აღარ უკავია.**

— ნამდვილად სულელი უნდა იყო, რომ თამაში პირველ ადგილზე დააყენო ცხოვრებაში. კაცი შეიძლება ატანილი იყოს ჭადრაკით, მაგრამ მან, ამავე დროს, უნდა იცოდეს, რომ ცხოვრება უფრო რთული რამაა და მასში სხვა ფასეულობებიც არსებობს.

**● მაშ რითი ავხსნათ, რომ ბევრი ჭადრაკის თამაშს ოჯახსა და ახლობლებს ანაცვალებს?**

— ... უცნაურობით.

**● მე თქვენ არ მყავდით მხედველობაში.**

— ტყუილუბრალოდ, როცა დასავლეთში წასვლა გადავწყვიტე, ყოველმხრივ ვარწმუნებდი საკუთარ თავს, რომ ამას ჭადრაკის გამო ვაკეთებდი. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი არ მეფიქრა პოლიტიკურ მოტივებზე. მერე კი, როცა ჩემი სპორტული შედეგები მკვეთრად გაუარესდა, უკან დაბრუნებაზეც დავიწყე ფიქრი.

**● რატომ არ დაბრუნდით?**

— ამ დროისათვის მე ძალაუნებურად მაქციეს დისიდენტად. ამასთან, დასავლეთში გატარებულმა წლებმა იმდენად შემცვალა, რომ ყველაფრის თავიდან დაწყება მომიხდებოდა, ეს კი აღარ შემეძლო. მე გადავეჩვიე თქვენებურ ცხოვრებას. დაბრუნება ჩემი საბოლოო განადგურება იქნებოდა.

**● ალბათ დიდხანს ეჩვეოდით ახალ ცხოვრებას?**

— როგორც ჩანს დიდხანს, თუმცა არავითარი დეპრესია ამის გამო არა მქონია. იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ვიცოდი რაზედაც მივდიოდი და მეორეც, ჩემი თავი დავარწმუნე, რომ ის ქვეყანა,, საიდანაც წამოვედი, საბოლოოდ ჩამოვიცილე.

**● გამოგივიდათ?**

— ძირითადად გამომივიდა. თუმცა, იმ ქვეყნის ზოგიერთ ცოდვას რატომღაც გულთან ახლოს ვიღებდი. საბჭოთა ჯარები ავღანეთში რომ შევიდა, თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, თითქოს მე ვხელმძღვანელობდი სამხედრო ოპერაციას.

**● ხშირად თუ გახსენებენ რომ რუსი ხართ?**

— ზოგჯერ ასეთი რამ იციან უცხოელებმა. მით უფრო, რომ მოზრდილი კაცი ვერასდროს ვერ დაიწყებს უცხო ენაზე უაქცენტოდ ლაპარაკს. თუმცა გერმანული, ჩემი აზრით, ცუდად არ ვიცი. კასპაროვისა და შორტის მატჩის დროს სხვა სპეციალისტებთან ერთად ბი-ბი-სიმ კომენტატორად მიმიწვია. მატჩი რომ დამთავრდა, ოფიციალურად მითხრეს ყველაზე კარგი იყავიო. არა მგონია, რომ ვინმეს რამეთი ვაჯობე. უბრალოდ, ტელეობიექტივის წინ არ ვიბნევი და თავი სხვებზე უკეთ მიჭირავს. ამის პრაქტიკა ჯერ კიდევ ლენინგრადში მქონდა მიღებული, როცა მხატვრულ ფილმში „გროსმაისტერი" მწვრთნელის როლი მათამაშეს. მაშინაც მეუბნებოდნენ მსახიობებზე უარესად არ გითამაშიაო.

**● გსიამოვნებთ, როცა სხვებზე უკეთესი ხართ?**

— ესე იგი, ვარ თუ არა პატივმოყვარე?

**● პატივმოყვარეობა არ მქონდა მხედველობაში, ვთქვათ, მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება გაზონების კრეჭვაში, თქვენ კი ხელშიც არ გჭერიათ არასდროს საკრეჭი აპარატი. იბრძოლებთ თუ არა გამარჯვებისთვის?**

— უსათუოდ. საერთოდ, მიმაჩნია რომ, რასაც აკეთებს კაცი, უნდა აკეთებდეს მაქსიმალურად საუკეთესოდ. სხვათა შორის, ეს პრინციპი რუსულზე უფრო მეტად დასავლური ცხოვრების წესს შეესაბამება.

**● იქნებ რამდენიმე სიტყვა გვითხრათ თქვენი ცხოვრების შვეიცარიულ პერიოდზე?**

— მე და ჩემს მეუღლეს პეტრას ბინა გვაქვს ციურიხის მახლობლად გოლენში. ვცხოვრობთ მშვიდად, ნორმალურად. წელიწადში ოცჯერ ლექციებს ვატარებ საჭადრაკო სკოლაში — ვამეცადინებ ამ ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეებს. მიყვარს წიგნების კითხვა და მუსიკის მოსმენა. ბუნებით მოთამაშე ვარ, მაგრამ კაზინოში აღარ დავდივარ.

**● ბედი არ გწყალობთ?**

— იცით, მე ბევრ ქალაქ-კაზინოში ვყოფილვარ, მათ შორის ლას-ვეგასში, მონტეკარლოში. იქ ყველგან სათამაშო ავტომატებია და, ბუნებრივია, ყველა თამაშობს. მაგრამ ეს პროცესი ორგვარი გახლავთ, ზოგი უბრალოდ თამაშობს, ზოგიც, თამაშობს აზარტულად, ფულზე. აი მე, მეორე ტიპის მოთამაშე გახლავართ, ამიტომ არ მჭირდება ავტომატები.

**● შინ თუ გაქვთ რაიმე სამეურნეო ვალდებულება?**

—არა. ერთხელ მეუღლემ მითხრა მეურნეობაზე ნუ იფიქრებ, დაივიწყეო. ამასთან ალბათ იცით, რომ დასავლეთში გაცილებით უფრო იოლია გაუძღვე ოჯახს, ვიდრე თქვენთან.

**● რამე თუ გატყდა ან გაფუჭდა?**

— მეუღლე შეაკეთებს.

**● რამდენი ხანია რაც ცოლი გყავთ?**

— ორი წელი, თუმცა 17 წელზე მეტია ერთად ვართ.

**● გასაკვირია, კორჩნოიზე ამბობდნენ შფოთისთავიაო, შარიანი, უბრალოდ აუტანელი ადამიანი, თქვენ კი სამაგალითო, საჩვენებელი მეოჯახე ყოფილხართ.**

— ეს მეუღლის დამსახურებაა. მოჭადრაკეები საერთოდ რთული ხალხია. ასეთია მათი პროფესია. ჭადრაკი ინდივიდუალური თამაში გახლავთ, ინდივიდუალიზმი კი ოჯახის მტერია. ამასთან, ზოგი მოჭადრაკე მარცხის შემდეგ დეპრესიულ მდგომარეობაში ვარდება. ეს ხშირად რამდენიმე თვე გრძელდება.

**● რატომ ჩამოხვედით მოსკოვში, კრემლში თამაშის იდეამ მოგხიბლათ?**

— არა. იდეა, მართალი გითხრათ, არც მომწონს. კრემლში თამაში ერთის მხრივ დიდი პატივია. მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით, ვფიქრობ, პროვოკაციულია. და მაინც ჩამოვედი. ეს კი არა, შაბათს უნდა გავფრენილიყავი უკან, მაგრამ მეუღლემ დამიყაბულა რამდენიმე დღეს კიდევ დავრჩეთ და დაველოდოთ ტურნირის დამთავრებას.

**● როგორია შთაბეჭდილებები? ჭადრაკზე ცხადია არ გეკითხებით.**

— წარმოუდგენლად მოულოდნელი. აეროპორტის ბუფეტში რომ მითხრეს ერთი ჭიქა ლიმონათის ფასი, ჯერ მეგონა კარგად ვერ გავიგე. მერე კი გამყიდველმა გამიმეორა — ერთი ათასიო. თუმცა, რომ იცოდეთ, ეს ნორმალური პროცესია.

**● ხომ არ გაგჩენიათ სურვილი შეხვედროდით ვინმე ისეთს, რომელიც თქვენს ძველ ცხოვრებას გაგახსენებდათ?**

— არა. მეგობრები მე, პრაქტიკულად, არცა მყავს. ერთადერთი კაცი, რომელთანაც სულიერი ურთიერთობა მაკავშირებს, ინგლისელი დიდოსტატი მაიკლ სტინია. მან უკვე დაანება თავი ჭადრაკს. ერთხანს არც მე ვთამაშობდი. შვიდი წელი ბოიკოტის გარემოცვაში ვიყავი. მაშინ მე 43 დიდი საერთაშორისო ტურნირი გამოვტოვე. ერთ შვენიერ დღეს სტინსაც შეუწყდა მიწვევები. ეს მოხდა ჩემთან ურთიერთობის გამო. მე ძარღვებში ცოტათი პოლონური სისხლიც მიჩქეფს და ალბათ ამიტომ იოლად ვერ ვივიწყებ წყენას. თანაც ყველაფერზე მაღლა პრინციპებს ვაყენებ. თუ ადამიანს პრინციპები არ გააჩნია, მასთან ურთიერთობა არც მაინტერესებს.

**● პრინციპები ალბათ ქრება მაშინ, როცა ჩნდება ბევრი ფული. სხვაგვარად ვერ ავხსნით იმას, თუ რატომ იცვლიან ასე ხშირად ბანაკს მოჭადრაკეები.**

— მართალი ბრძანდებით. კარპოვთან პირველი მატჩის დროს ფსიქოლოგი ზაგაინოვი ჩემს ბანაკში იყო. მერე იგი კარპოვის მხარეს გადავიდა. კასპაროვს დიდხანს ეხმარებოდა პარაფსიქოლოგი დადაშევი. სევილიის მატჩის დროს იგი კარპოვის ბანაკში აღმოჩნდა. ასეთი ამბები მე არ მესმის.

**● ერთი დიდი მწვრთნელი ამბობდა: თუ სპორტსმენს სჭირდება ფსიქოლოგი, ასეთი სპორტსმენი ჩვენ არ გვჭირდებაო. არადა, ჭადრაკში, ამ სპეციალობის ხალხი, როგორც ჩანს, აუცილებელია. გავიხსენოთ თუნდაც პროფესორი ზუხარი, რომელიც კარპოვს ახლდა მერანოს მატჩში. სხვათა შორის, კასპაროვის ყოფილი მწვრთნელის ალექსანდრე ნიკიტინის აზრით, ზუხარმა დიდი წვლილი შეიტანა მაშინ კარპოვის გამარჯვებაში.**

— ამ ტიპის ადამიანებს მე ორ კატეგორიად დავყოფდი. არიან ფსიქოლოგები, რომლებიც ეხმარებიან მოჭადრაკეებს და არიან ისეთებიც, რომლებიც ხელს უშლიან მეტოქეებს. არა მგონია, რომ შეიძლება მოახდინო ზემოქმედება კაცზე, რომელიც სრულად აკონტროლებს თავის საქციელს. მაგრამ ზოგჯერ მოთამაშე ჰკარგავს კონტროლის უნარს, ვთქვათ, ცაიტნოტის დროს. აი, მაშინ შეუძლია ექსტრასენსს სასწაულების ჩადენა. სხვათა შორის, კარპოვის ბრწყინვალე თამაში ლინარესში მნიშვნელოვანწილად ზაგაინოვის დამსახურებად მიმაჩნია. ეს, მე მგონი, ფსიქოლოგისთვის დიდი კომპლიმენტი უნდა იყოს.

**● თუ შეგიძლიათ საერთოდ აღარ ითამაშოთ ჭადრაკი, დაანებოთ მას თავი ისე, როგორც ხალხი თავს ანებებს სიგარეტის წევას?**

— ჯერ არ შემხვედრია კაცი, რომელმაც შეძლო სამუდამოდ დაენებებინა თავი ჭადრაკისთვის. მწეველის მდგომარეობა ამ მხრივ უფრო იოლია. მე, მაგალითად, სიგარეტის წევას რამდენჯერმე დავანებე თავი. ესე იგი შემძლებია. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს ექიმები აცხადებენ, რომ სიგარეტის წევასაც აქვს რაღაც პლიუსები, განსაკუთრებით სტრესულ სიტუაციებშიო.

**● ამას სხვა საშუალებებითაც ებრძვიან.**

— მე არ ვსვამ.

**● ჯანმრთელობა არ გაძლევთ უფლებას, თუ რწმენა?**

— არა ვსვამ პოლიტიკური მოსაზრებებით. არაყი ჩემში ყველაზე დიდ ასოციაციას „საბჭოეთთან" იწვევს. და იცით რა: თავს ძალა დავატანე და გადავეჩვიე.



მარცხნიდან: პეტრა ლეევერიკი (კორჩნოის მეუღლე), ვ. კორჩნოი და გ. კასპაროვი

---

## ხუთი რგოლის გარშემო

**საორგანიზაციო** კომიტეტმა, რომელმაც უნდა წამოაყენოს სტოკჰოლმის კანდიდატურა 2004 წლის თამაშების მასპინძლად, უკვე დაამთავრა ყოველგვარი გაანგარიშება. ვარაუდით ოლიმპიური თამაშები 200 მილიონ კრონ წმინდა მოგებას მოიტანს, რაც თავისთავად უკვე საკითხის დადებითად გადაწყვეტას ნიშნავს. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის გერან ლაანგვედის განცხადებით ახლა მთავარია ქალაქის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა და მთავრობის ფინანსიური გარანტიები, რასაც მოყვება პრაქტიკული საქმიანობა.

**აქამდე** მოსკოვში ფუნქციონირებდა ანტისადოპინგო ლაბორატორია, რომელსაც არ ჰქონდა საერთაშორისო სერთიფიკატი და ამის გამო ყოველ სინჯს საზღვარგარეთ აგზავნიდა. ეს გარემოება ხელს უშლიდა დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას ქვეყანაში, რომელიც შემჩნეული იყო მისი დიდი რაოდენობით გამოყენებაში, ამ დღეებში რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ახალი ანტისადოპინგო სამსახურის შექმნის თაობაზე. აპარატურა და ინვენტარი შემოვა უცხოეთიდან. ამის თაობაზეც არსებობს შესაბამისი შეთანხმებები. 1995 წლის განმავლობაში ანტისადოპინგო სამსახური 1750 სპორტსმენს შეამოწმებს. ეს საერთაშორისო ვალდებულება გახლავთ.

**ავსტრალიის** კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდებმა მოიპოვეს ატლანტის თამაშებში მონაწილეობის უფლება. გადამწყვეტ შეხვედრებში მათ ახალი ზელანდიის კალათბურთელები დაამარცხეს — ვაჟებმა ანგარიშით 102:62 და 107:88. ქალებმა — 80:45 და 89:44.

**არ არის** გამორიცხული, რომ ცნობილმა მექსიკელმა არქიტექტორმა პედრო რამირეს ვასკესმა, რომელიც 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშების მთავარი ორგანიზატორი იყო, ასაკის გამო დატოვა სოკი. მის ადგილზე უკვე აცხადებს პრეტენზიას საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის ორი მოღვაწე (ბუნებრივია, ორივე მექსიკელი გახლავთ) — ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი რუბენ აკოსტა და სროლის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ოლეგარიო ვასკეს-რანია. სოკის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის სიმპათიები ამ უკანასკნელის მხარეს იხრება, ამას კი კანდიდატურის შერჩევისას დიდი მნიშვნელობა აქვს.

---

# აფსუს!

### საქართველოს ჩემპიონატი პლაჟბურთში

სპორტის ახალი სახეობა ჩვენში მუდამ საარაკო ენთუზიაზმით ინერგებოდა, არც წარმატებები აყოვნებდა. ახლა სხვა ვითარებაა და პლაჟბურთში (ეს ტერმინი პაატა ნაცვლიშვილმა დაამკვიდრა) შიშველმა ენთუზიაზმმა ვერ უშველა საქმეს — საქართველოს ჩემპიონატზე უსახსრობის გამო (სასტუმროს პრობლემაცაა) თბილისში გუნდები ვერ ჩამოვიდნენ. ის კი არა, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კ. ასათიანს ბურთები საზღვარგარეთიდან რომ არ ჩამოეტანა, სასეირო ამბავი მოხდებოდა. არადა, პლაჟბურთმა უკვე შეიძინა ოლიმპიური სტატუსი. ამ ჩემპიონატში, რომელშიც შარშან მხოლოდ თბილისელები მონაწილეობდნენ: რაკი შესაბამისი ღია მოედანი არ გაგვაჩნია, შეჯიბრება დარბაზში ჩატარდა.

ქალებში ადგილები ასე განაწილდა: 1. ნინო მღებრიშვილი — ნატაშა რავა, 2. ნინელი ლეჟავა — ლელა გაგნიძე, 3. თინა გუგუნავა — ნატაშა ნიკონენკო. ვაჟები: 1. ძმები დავით და ალექსანდრე ჯიოშვილები, 2. გენადი გორდაძე — რომან პავლოვი, 3. დავით ნინაძე — მამუკა მელქაძე. დავძენთ, რომ დავით ჯიოშვილი თურქეთის ერთ-ერთ ძირითად გუნდში თამაშობს.

## სტენლის თასი ყველაზე პრესტიჟული პრიზია

მართლაც, პროფესიულ ჰოკეისტებს უფრო ავტორიტეტული ჯილდო არა აქვთ და ამიტომაც ამ პრიზისათვის ბრძოლა ყოველი გუნდისთვის სეზონის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს. 1994-95 წლების სეზონის ჭეშმარიტ გმირად, სავსებით სამართლიანად ითვლება „ნიუ-ჯერსი", რომელმაც „პლეი-ოფის" ფინალური სერიისათვის უჩვეულოდ „მშრალი" ანგარიშით (4:0) დაამარცხა „დეტროიტი".

მაშ ასე, სტენლის თასი „ნიუ-ჯერსიმ" დაისაკუთრა, რომელმაც „პლეი ოფის" მერვედფინალებიდან მოყოლებული თანამიმდევრულად დაამარცხა: „ბოსტონი" — 4:1 (5:0, 3:0, 2:3, 1:0, 3:2), „პიტსბურგი" — 4:1 (2:3, 4:2, 5:1, 2:1, 4:1), „ფილადელფია" — 4:2 (4:1, 5:2, 2:3, 2:4, 3:2, 4:2) დაბოლოს, გადამწყვეტ მატჩში „დეტროიტი" — 4:0 (2:1, 4:2, 5:2, 5:2).

„დეტროიტმა", თავის მხრივ, ფინალამდე გზიდან ჩამოიცილა: „დალასი" — 4:1 (4:3, 4:1, 5:1, 1:4, 3:1), „სან-ხოსე" — 4:0 (6:0, 6:2, 6:2, 6:2) და „ჩიკაგო" — 4:1 (2:1, 3:2, 4:3, 2:5, 2:1).

„პლეი-ოფის" სერიის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულია „ნიუ-ჯერსის" 29 წლის ფორვარდი კლოდ ლემიე, რომელსაც ჰყავდა ერთადერთი რეალური კონკურენტი, თანაგუნდელი მეკარე მარტინ ბროდერი.

სტენლის თასის ბომბარდირთა სამეული გამოიყურება ასე: 1. სერგეი ფეოდოროვი („დეტროიტი") — 7 გოლი + 17 საგოლე პასი, სულ 24 ქულა, 2. სტეფან რიშე („ნიუ-ჯერსი") — 6+15=21, 32. ნილ ბროდენი („ნიუ-ჯერსი") — 7+12=19 და პოლ კოფი („დეტროიტი") — 6+13=19.

## რა ხდება ქვეყანაზე

● საფრანგეთის ქალაქი ლილი უსათუოდ წამოაყენებს თავის კანდიდატურას 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე. ეს განაცხადა ქალაქის მერმა პიერ მორუამ. ამ გადაწყვეტილებამ საგონებელში ჩააგდო საფრანგეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ახლა მან უნდა გააკეთოს არჩევანი თავის ორ ქალაქს — ლილსა და ლიონს შორის. რაც შეეხება სოკის პოზიციას, იგი არც თუ ისე მალე გაირკვევა. 2004 წლის ოლიმპიადის ხელისმაძიებელთა კონკურსი მოეწყობა 1997 წლის სექტემბერში.

● ევროპის თასის გათამაშება მძლეოსნობაში მოეწყო მეთერთმეტედ. ამჯერად ასპარეზობას საფრანგეთის ქალაქ ლილის გარეუბანმა — ვილნევ დ' ასკმა უმასპინძლა. ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვეს გერმანიის წარმომადგენლებმა, ქალებში — რუსეთის მძლეოსნებმა. ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა სამხტომელთა შეჯიბრება, რომელიც ფანტასტიკური შედეგით — 18 მ. 43 სმ მოიგო ინგლისელმა ჯონათან ედვარდმა. მაგრამ მსოფლიოს რეკორდი არ დაფიქსირდა, ვინაიდან დასაშვებზე ოდნავ ძლიერი ქარი ქროდა. არადა, ედვარდის სამი სხვა ნახტომიც ყურადღებას იმსახურებს — 17,90 მ, 17,72 მ და 18,39 მ.

● მიუხედავად იმისა, რომ მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატი მხოლოდ 17 აგვისტოს დაიწყება, ზოგი ფავორიტი უკვე დღეს აჩვენებს მაღალ შედეგს. ასე მაგალითად, უნგრელმა კაროლი გუტლერმა 100 მ ბრასის სტილით 1.03,38-ში გაცურა, რაც წლეულს მსოფლიოში მეორე შედეგია. ასევე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა სახელოვან კრისტინა ეგერსეგის (ისიც უნგრეთი) 200 მ. გულაღმა ცურვაში — 2.14,66.

● გერმანიის ქალაქ პარკერსბურგში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე სამმა მონაწილემ გააუმჯობესა ტრასის რეკორდი 10 კილომეტრზე რბენაში. საუკეთესო დრო ჰქონდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელს სიმონ მოროლონგს — 28.15,0.

● აშშ-ს ქალაქ სირაკუზში გაიმართა დრაფტი ნბა-ს ორი დებიუტანტისთვის. თავდაპირველად გამოქვეყნდა „ტორონტო რეპტორსის" კალათბურთელთა სია: ბი ჯეი არმსტრონგი („ჩიკაგო"), ჯერომ ვერსი („პორტლენდი"), ჯონ სეილი („მაიამი"), უილი ანდერსონი („სანანტონიო"). „ტორონტოს" გენერალური მენეჯერის აიზია თომასის განცხადებით დრაფტზე ყურადღება გამახვილდა კალათბურთელთა გამოცდილებაზე. იმავე პრინციპით შეარჩია ხალხი „ვანკუვერ გრიზლიზის" გენერალურმა მენეჯერმა სტივ ჯეკსონმა. გუნდში მოხვდნენ: ბაირონ სკოტი („ინდიანა"), ბენუა ბენჯამინი („ნიუ-ჯერსი"), ჯერალდ უილკინსი („კლივლენდი").

# ჩვენთან წარუმატებლობას შეეწირა

მაიკ სმითი — უელსის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ბრიტანული თავშეკავების, ზრდილობისა და ტაქტის განსახიერებაა. ჟურნალისტს სმითთან კონტაქტი არ გასჭირვებია, რადგან მწვრთნელი მუდამ პოულობდა დროს მასთან შესახვედრად... მაგრამ საქმეში აშკარად არ გაუმართლა. მისი მეთაურობით უელსელთა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის მეშვიდე შესარჩევ ჯგუფში მხოლოდ ოთხი ქულის აღება შეძლო და ბოლო, მეექვსე ადგილზე „მიჩანჩალებს". სმითს წარუმატებლობათა სერია, შეიძლება ითქვას, ქართველებთან ჭიდილში დაეწყო და... დაგვირგვინდა კიდეც: თბილისში განცდილ ფიასკოს — 0-5 სხვებიც მოჰყვა და სამიოდე კვირის წინ მშობლიურ „არმზ პარკის" სტადიონზე ჩვენს წინააღმდეგ კვლავ წარუმატებელი გალაშქრებით დამთავრდა.

მაშინ, მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე გაოგნებული სმითი, ადგილობრივი ჟურნალისტების „ხახაში ჩაგდებული" რომ დავინახე, მივხვდი, ეროვნულ ნაკრებში მას აღარ დაედგომებოდა. მართალია, „დეილი ტელეგრაფის" ერთ-ერთ აგრესიულად განწყობილ სპორტულ მიმომხილველს მიახალა — უელსის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი წლის ბოლომდე მაქვს დადებული და გადადგომას არ ვაპირებო, მაგრამ... ეტყობა შემოტევას ვერ გაუძლო და — გადადგაო — გვაუწყეს უცხოეთის სააგენტოებმა.

სხვის ომში ყველა ბრძენიაო, მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, რომ სმითს, პირველ ყოვლისა, იმ ვეტერანმა ფეხბურთელებმა (რაში, გიგზი, ჰიუზი, სოუნდერსი) უღალატეს, ვისი იმედიც ჰქონდა. არადა, რა კარგი ახალგაზრდა მოთამაშეებია უელსელთა ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელმაც ორჯერ დაჯაბნა ქართველი თანატოლები.

ვინ იქნება უელსელთა პირველი ნაკრების ახალი მესაჭე? ამას მალე გავიგებთ.

ჯემალ ჭიპაშვილი

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები ● უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივში" საოცარი ამბავია: ამ კლუბში ჩაირიცხნენ ბრაზილიელი ფეხბურთელები მარიო დოს სანტოს ჟუნიორი და ლუის ანდრე და სილვა. პირველი მათგანი ფორვარდია, მეორე — ნახევარმცველი.

● საფრანგეთის ნაკრებისა და ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი ერიკ კანტონა დისკვალიფიცირებულია წლევანდელი 30 სექტემბრის ჩათვლით და სწორედ ამ დღეს ინგლისის ჩემპიონატში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლივერპული". ეს მეტად მნიშვნელოვანი მატჩი გახლავთ, ამიტომაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ თამაში გადაიტანა 1 ოქტომბრისთვის, რათა კანტონამ შეძლოს მინდორზე გამოსვლა.

● იაპონიის კლუბები კვლავ ყიდულობენ უცხოელ ფეხბურთელებს, კერძოდ, „კასიმა ანტლერსმა" ლისაბონის „ბენფიკადან" შეიძინა (კონტრაქტი 16-თვიანია) ბრაზილიელი მცველი მოზერი, „კასიმა ანტლერსში" კი მას უკვე ორი ბრაზილიელი მოთამაშე დახვდა — მსოფლიო ჩემპიონები ლეონარდო და ჟორჟინიო.

● იუგოსლავიის საუკეთესო მოთამაშე სავო მილოშევიჩზე ბოლო ხანებში ნამდვილი ნადირობა იყო გამართული, მის შესაძენად მზად იყვნენ იტალიის „იუვენტუსი" და „პარმა", გერმანიის „ბორუსია", საფრანგეთის „პარი სენ-ჟერმენი", ესპანეთის „ატლეტიკო", საბერძნეთის აეკ-ი და სხვანი. საბოლოოდ 21 წლის ფორვარდი დაისაკუთრა ინგლისის „ასტონ ვილამ", რომელმაც 3,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გაიღო სამწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ.

● განთქმულ ბულგარელ თავდამსხმელ ხრისტო სტოიჩკოვს სერიოზული უთანხმოებანი ჰქონდა „ბარსელონას" მწვრთნელ იოჰან კრუიფთან და კლუბის ხელმძღვანელობასთან, ამიტომაც მას სურს დატოვოს „ბარსელონა". მუშტარი ბევრი იყო — იტალიის „პარმა", ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი" და სხვანი. საბოლოოდ ხ. სტოიჩკოვი „პარმაში" ჩაირიცხა.

● ტურინის „იუვენტუსმა" წლეულს მოიპოვა იტალიის ჩემპიონობაც და თასიც. ამ „დუბლის" აღსანიშნავად კლუბის დირექტორატმა თითოეული მოთამაშე დამატებით დააჯილდოვა 140-140 ათასი დოლარით.

● სევილიის „ბეტისმა" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ხორვატ თავდამსხმელ რობერტ იარნისთან. 26 წლის ფეხბურთელი მანამდე გამოდიოდა იტალიის „იუვენტუსში" და „ტორინოში", იუგოსლავიის „ჰაიდუკში". რ. იარნი შეძენილია 4,7 მილიონ დოლარად.

● დრეზდენის „დინამო" (გერმანია) მძიმე კრიზისთან დაკავშირებით ყიდის თავის მოთამაშეებს, მათ შორის მეკარე სტანისლავ ჩერჩესოვსაც. მისი მყიდველიც გამოჩნდა — პორტუგალიის „ლეირია" ფასი — 700 ათასი მარკა.

● დანიელ ბატისტა საბერძნეთის „ოლიმპიაკოსიდან" დაბრუნდა აეკ-ში. მან საბერძნეთის მოქალაქეობა მიიღო და უცხოელად აღარ ითვლება.

● კამერუნში სკანდალია. აქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ და სპორტის სამინისტრომ ვერა და ვერ გადაწყვიტეს ვინ უნდა უხელმძღვანელოს ეროვნულ ნაკრებს მალავის გუნდთან აფრიკის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ. ამიტომაც ფედერაციის ცენტრალური კომიტეტი დაშალეს, კომიტეტმა კი, თავის მხრივ, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში აღძრა საჩივარი.

● 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა გათამაშების დაწყებამდე ერთი წლით ადრე პარიზსა და ნანტში გამართოს გენერალური რეპეტიცია, ოთხთა ტურნირი. ფრანგების გარდა კანდიდატები არიან ბრაზილია, იტალია, გერმანია, ინგლისი და ესპანეთი.

● საფრნგეთის „ნანტმა" და იტალიის „სამპდორიამ" მოილაპარაკეს, რომ ქრისტიან კარამბე მომავალი სეზონიდან იტალიის კლუბში ითამაშებს, საკონტრაქტო თანხა 3 მილიონ დოლარს შეადგენს. მის ნაცვლად „ნანტმა" შეიძინა ჟან-მარკ შანლენი („ნიმიდან").

● არაბეთის გაერთიანებული საემიროების ფედერაციამ წინადადებით მიმართა რუმინეთის ნაკრების მწვრთნელს ანგელ იორდანესკუს სათავეში ჩაუდგეს ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს. ა. იორდანესკუს რუმინეთის ფედერაციასთან 1995 წლის ნოემბრამდე აქვს დადებული კონტრაქტი. მის გუნდს ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლის საუკეთესო შანსი აქვს, მაგრამ არაბები ძალიან დიდ თანხას პირდებიან ა. იორდანესკუს.

● დრაგოსლავ სტეპანოვიჩი ბილბაოს „ატლეტიკის" მწვრთნელად მიიწვიეს. მანამდე იგი ლევერკუზენის „ბაიერში" (გერმანია) მუშაობდა.

● ბრიტანეთის სასამართლოში საჩივარი შეიტანა ბრაიან ჰორტონმა, რომელიც ინგლისის ჩემპიონატის დამთავრებიდან 48 საათის შემდეგ გაათავისუფლეს „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელობიდან. ბ. ჰორტონი მეორე დივიზიონის „ჰადერსფილდს" ჩაუდგა სათავეში, მაგრამ „მანჩესტერ სიტიდან" მოითხოვს კომპენსაციას 200 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

● ავსტრალიის პარლამენტის კომისიამ ბრალდება მოუხსნა ამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელს ედი ტომსონს, რომელსაც ადანაშაულებდნენ რამდენიმე მოთამაშის გაყიდვასთან დაკავშირებულ ფინანსურ მაქინაციებში (ნედ ზაკიჩი, პოლ ოკონი და სხვანი).

● იტალიის პროკურორმა ნელო სტაბილემ მოითხოვა დააპატიმრონ 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ზოგიერთი ორგანიზატორი. მათ შორის არიან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ახლანდელი პრეზიდენტი მარიო პესკანტე, ყოფილი პრეზიდენტი არიგო გატაი, მძლეოსნობის ფედერაციის მეთაური პრიმო ნებიოლო. ძიებამ დაადგინა, რომ მათ ხელი მოითბეს სტადიონების რეკონსტრუქციის საქმეებში.

● მალაიზიის შტატ მალაკის ფეხბურთის ასოციაციამ სამუდამოდ აუკრძალა მუშაობა მოზარდთა ნაკრების მწვრთნელს ჯალო დოლასს. იგი ამხილეს იმაში, რომ „ერთ-ერთი შეკრების დროს სასტუმროს ნომერში ღამე გაათია უცხო ქალთან".

● განთქმული ჰოლანდიელი მწვრთნელი რინუს მიჰელსი, რომელიც წლების მანძილზე წარმატებით მუშაობდა ამ ქვეყნის ნაკრებთან, „აიაქსთან" და ესპანეთის „ბარსელონასთან", შეიყვანეს სპეციალური კომისიის შემადგენლობაში, ამ კომისიამ უნდა შეიმუშაოს შოტლანდიის ფეხბურთის აღორძინების ღონისძიებები.



## ნბა-ს ამბები

### „ოცნების გუნდი" № 3

ცნობილი გახდა იმ ათი კალათბურთელის ვინაობა, რომლებიც გაისად ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების ღირსებას დაიცავენ. ესენი არიან: ხაკიმ ოლაჯიუვონი („ჰიუსტონ როკიტსი"), შაკილ ო' ნილი და ანვერი ხარდუეი (ორივე — „ორლანდო მეჯიკი"), კარლ მელოუნი და ჯონ სტოკტონი (ორივე — „იუტა ჯაზი"), დევიდ რობინსონი („სან-ანტონიო"), რეჯი მილერი („ინდიანა პეისერსი"), გრანტ ჰილი („დეტროიტ პისტონსი"), სკოტ პიპენი („ჩიკაგო ბულზი") და გლენ რობინსონი („მილუოკი ბაქსი").

როგორც ხედავთ, შემადგენლობაში არ არის ბევრი სახელმოხვეჭილი კალათბურთელი. ორ ვაკანტურ ადგილს ნაკრებში სწორედ მათ შორის საუკეთესონი დაიკავებენ. „ოცნების გუნდის" მთავარი მწვრთნელი იქნება ლენი უილკინსი. მას დაეხმარებიან კლემ ჰისკინსი (მინესოტას უნივერსიტეტი), ბობი კრემინსი („ჯორჯია ტეკი") და ჯერი სლოუნი („იუტა ჯაზი").

### 100 ათასი დოლარის ბედი არ აღელვებს

კალათბურთიდან წასვლამდე ნბა-ს სუპერვარსკვლავი მაიკლ ჯორდანი № 23 მაისურს ატარებდა. ეს ნომერი „ჩიკაგო ბულსის" ძლიერების უტყუარის სიმბოლო იყო. ნბა-ში დაბრუნების შემდეგ გუნდმა მას დროებით განუსაზღვრა სხვა ნომერი (45), რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ჯორდანმა ისევ თავისი ნომრით შეცვალა.

აი სწორედ აქ ატეხეს დიდი სკანდალი კალათბურთის ეროვნული ასოციაციის მესვეურებმა და „ჩიკაგო" თვითნებობისთვის 100 ათასი დოლარით დააჯარიმეს. სუპერვარსკვლავს ნბა-ს ხელმძღვანელობის ეს გადაწყვეტილება სრულებითაც არ აღელვებს. ამჟამად იგი დაკავებულია კინოგადაღებით. ჯორდანს მთავარი როლი მისცეს მულტსერიალში „გადარეული მელოდიები", სადაც კალათბურთელი საკუთარ თავს ასახიერებს.

### „ვარსკვლავების" ბუნტი

ნბა-ს ხელმძღვანელობამ ახალი კოლექტიური ხელშეკრულება გააფორმა პროფესიონალ კალათბურთელთა პროფკავშირებთან. ამ პროცედურას დაესწრენ ლიგაში მოთამაშე 28 კლუბის პროფკავშირული წარმომადგენლები „მაიამის" დელეგატის გარდა. პროფკავშირების ფუნქციონერებმა მოიწონეს ხელშეკრულება, სადაც საუბარია ხელფასის გაზრდაზე, „თავისუფალი აგენტის" სტატუსზე და სხვადასხვა სახის გადასახადებზე. აქამდე ნბა-ს მოთამაშეთა საშუალო წლიური ხელფასი 1,3 მილიონი დოლარი იყო. ხელშეკრულების მიხედვით იგი გაიზრდება თანდათან და ბოლოს 2,5 მილიონ დოლარს მიაღწევს. საგრძნობლად აიწევს მინიმალური ხელფასის ოდენობაც — 160 ათასიდან 225 ათასამდე. ადრე გუნდის ყველა წევრის კონტრაქტების ღირებულება არ უნდა ყოფილიყო წელიწადში 15,9 მილიონ დოლარზე მეტი. ახლა ეს მაჩვენებელიც გაიზარდა 23 მილიონამდე, 6 წლის ბოლოს კი 32 მილიონს გადააჭარბებს.

კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ კალათბურთელს უფლება მიეცა გახდეს „თავისუფალი აგენტი" და მოლაპარაკება ჰქონდეს დამოუკიდებლად ნებისმიერ კლუბთან.

გარეგნულად ხელშეკრულება თითქოს ითვალისწინებს კალათბურთელთა პრეტენზიებს, მაგრამ, როგორც გაირკვა, ამ დოკუმენტმა ნბა-ს ვარსკვლავთა ნამდვილი ბუნტი გამოიწვია. პატრიკ იუინგს, მაიკლ ჯორდანს, სკოტ პიპენსა და კიდევ ასამდე კალათბურთელს მიაჩნია, რომ პროფკავშირებმა მათი ინტერესები „გაყიდა". ისინი მოითხოვენ ამ ორგანიზაციის დაშლას. სანამ ამ მოთხოვნას განიხილავს სახელმწიფო დაწესებულება („შრომითი ურთიერთობის ეროვნული საბჭო") და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას (მას შეუძლია დაშალოს პროფკავშირი) „ვარსკვლავებმა" საჩივარი შეიტანეს სასამართლოში. როგორც ჩანს, ისახება საკმაოდ მწვავე დაპირისპირება პროფესიონალ კალათბურთელთა და პროფკავშირებს შორის.

## რა ხდება ქვეყანაზე

● მსოფლიოს რეკორდსმენი 100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის, ამერიკელი ლეროი ბარელი წლეულს საასპარეზოდ აღარ გამოვა. აშშ-ს ბოლო ჩემპიონატში ფეხის დაზიანების გამო მან მხოლოდ V ადგილი დაიკავა და ვერ მოხვდა გუნდში, რომელიც გიოტებორგის მსოფლიოს ჩემპიონატში უნდა გამოვიდეს. ბარელი ამჟამად ატლანტის ოლიმპიადაზე ფიქრობს და ამიტომაც სურს სრულ მზადყოფნაში იყოს.

● პროფესიონალ ველოსიპედისტთა მთავარი შეჯიბრების — „ტურ დე ფრანსის" წინ, ტრადიციულად გამოქვეყნდა მსოფლიოს უძლიერეს მრბოლთა რეიტინგი. წლევანდელ ასეულში სამი პირველი ადგილი დაიკავეს: ტონი რომინგერმა (შვეიცარია) — 3331 ქულა, მიგელ ინდურაინმა (ესპანეთი) — 1957 და ლორან ჟალაბერმა (საფრანგეთი) — 1751. თუ ქულათა რაოდენობით ვიმსჯელებთ, რომინგერს „ტურ დე ფრანსში" უპირატესობა გარანტირებუდი უნდა ჰქონდეს.

# ევროპის ყველა ჩემპიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | 1935. | ჟენევა. | 1. ლატვია, 2. ლიტვა, 3. ჩეხოსლოვაკია |
| 2. | 1937. | რიგა. | 1. ლიტვა, 2. იტალია, 3. საფრანგეთი |
| 3. | 1939. | კაუნასი. | 1. ლიტვა, 2. ლატვია, 3. პოლონეთი |
| 4. | 1946. | ჟენევა. | 1. ჩეხოსლოვაკია, 2. იტალია, 3 უნგრეთი |
| 5. | 1947. | პრაღა. | 1. სსრკ, 2. ჩეხოსლოვაკია, 3. ეგვიპტე |
| 6. | 1949. | ქაირო. | 1. ეგვიპტე, 2. საფრანგეთი, 3. საბერძნეთი |
| 7. | 1951. | პარიზი. | 1. სსრკ, 2. ჩეხოსლოვაკია, 3. საფრანგეთი |
| 8. | 1953. | მოსკოვი. | 1. სსრკ, 2. უნგრეთი, 3. საფრანგეთი |
| 9. | 1955. | ბუდაპეშტი. | 1. უნგრეთი, 2. ჩეხოსლოვაკია, 3. სსრკ |
| 10. | 1957. | სოფია. | 1. სსრკ, 2. ბულგარეთი, 3. ჩეხოსლოვაკია |
| 11. | 1959. | სტამბული. | 1. სსრკ, 2. ჩეხოსლოვაკია, 3. საფრანგეთი |
| 12. | 1961. | ბელგრადი. | 1. სსრკ, 2. იუგოსლავია, 3. ბულგარეთი |
| 13. | 1963. | ვროცლავი. | 1. სსრკ, 2. პოლონეთი, 3. იუგოსლავია |
| 14. | 1965. | მოსკოვი. | 1. სსრკ, 2. იუგოსლავია, 3. პოლონეთი |
| 15. | 1967. | ჰელსინკი. | 1. სსრკ, 2. ჩეხოსლოვაკია, 3. პოლონეთი |
| 16. | 1969. | ნეაპოლი. | 1. სსრკ, 2. იუგოსლავია, 3. ჩეხოსლოვაკია |
| 17. | 1971. | ესენი. | 1. სსრკ, 2. იუგოსლავია, 3. იტალია |
| 18. | 1973. | ბარსელონა. | 1. იუგოსლავია, 2. ესპანეთი, 3. სსრკ |
| 19. | 1975. | ბელგრადი. | 1. იუგოსლავია, 2. სსრკ, 3. იტალია |
| 20. | 1977. | ლიეჟი. | 1. იუგოსლავია, 2. სსრკ, 3. ჩეხოსლოვაკია |
| 21. | 1979. | ტურინი. | 1. სსრკ, 2. ისრაელი, 3. იუგოსლავია |
| 22. | 1981. | პრაღა. | 1. სსრკ, 2. იუგოსლავია, 3. ჩეხოსლოვაკია |
| 23. | 1983. | ნანტი. | 1. იტალია, 2. ესპანეთი, 3. სსრკ |
| 24. | 1985. | შტუტგარტი. | 1. სსრკ, 2. ჩეხოსლოვაკია, 3. იტალია |
| 25. | 1987. | ათენი. | 1. საბერძნეთი, 2. სსრკ, 3. იუგოსლავია |
| 26. | 1989. | ზაგრები. | 1. იუგოსლავია, 2. საბერძნეთი, 3. სსრკ |
| 27. | 1991. | რომი. | 1. იუგოსლავია, 2. იტალია, 3. ესპანეთი |
| 28. | 1993. | მიუნხენი. | 1. გფრ, 2. რუსეთი, 3. ხორვატია |
| 29. | 1995. | ათენი. | 1. იუგოსლავია, 2. ლიტვა, 3. ხორვატია. |



საქართველოს და ყოფილი საბჭოთა ნაკრების უცვლელი კაპიტანი წლების მანძილზე ოთარ კორქია მაღალი ბურთისათვის ბრძოლაში

## ვინ რამდენჯერ

| | ო. | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. სსრ კავშირი | 14 | 3 | 4 | 21 |
| 2. იუგოსლავია | 6 | 5 | 3 | 14 |
| 3. ჩეხოსლოვაკია | 1 | 6 | 5 | 12 |
| 4. იტალია | 1 | 3 | 3 | 7 |
| 5. საფრანგეთი | — | 1 | 4 | 5 |
| 6. ესპანეთი | — | 3 | 1 | 4 |
| 7. პოლონეთი | — | 1 | 3 | 4 |
| 8. ლიტვა | 2 | 1 | — | 3 |
| 9. უნგრეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 10. საბერძნეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 11. ლატვია | 1 | 1 | — | 2 |
| 12. ეგვიპტე | 1 | — | 1 | 2 |
| 13. ბულგარეთი | — | 1 | 1 | 2 |
| 14. ხორვატია | — | — | 2 | 2 |
| 15. გერმანია | 1 | — | — | 1 |
| 16. ისრაელი | — | 1 | — | 1 |
| 17. რუსეთი | — | 1 | — | 1 |

# ქართველები ევროპის ჩემპიონატებში

1947 წელი. ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია — I ადგილები.
1951 წელი. ოთარ ქორქია — I ადგილი
1953 წელი. ოთარ ქორქია — I ადგილი
1955 წელი. ოთარ ქორქია — III ადგილი
1957 წელი. გურამ მინაშვილი — I ადგილი
1959 წელი. გურამ მინაშვილი — I ადგილი
1961 წელი. ვლადიმერ უგრეხელიძე — I ადგილი
1963 წელი. გურამ მინაშვილი — I ადგილი
1965 წელი. ზურაბ საკანდელიძე, ამირან სხიერელი — I ადგილები
1967 წელი. ზურაბ საკანდელიძე — I ადგილი
1969 წელი. ზურაბ საკანდელიძე — I ადგილი 1971 წელი. ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია — I ადგილები
1973 წელი. ზურაბ საკანდელიძე — III ადგილი
1975 წელი. მიხეილ ქორქია — II ადგილი
1977 წელი. მიხეილ ქორქია — II ადგილი
1981 წელი. ნიკოლოზ დერიუგინი — I ადგილი

# კროსვორდი



თარაზულად: 1. სპორტის ხელმძღვანელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, 4. მოქმედების უნარი, მხნეობა, ძალა, ძალ-ღონე, რაც საჭიროა სპორტში დასახული მიზნის მისაღწევად, 6. ილეთის ნაირსახეობა სამბოსა და ძიუდოში, 9. კიკბოქსინგისა და ძიუდოს ცნობილი იაპონელი ოსტატი, 12. ბერძენი ანუ... 13. წლოვანება, 17. უელსის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი, 19. უმაღლესი მიღწევა სპორტში, 20. სწრაფად გათამაშებული საჭადრაკო პარტია, 21. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 22. საჭადრაკო ფიგურა, 25. დისტანციის მონაკვეთი მრავალდღიან ველორბოლაში, 26. თოკები, რომლისგანაც გრეხენ ბაგირს, 27. გარკვეული აზრი პიროვნებაზე, მოვლენაზე, 31. ოლიმპიური ჩემპიონი სპრინტში, 32. ღონე, არაქათი, ქანცი, 35. შუქოვან-სასიგნალო მოწყობილობა, 36. ლითონის ენიანი შესაკრავი, ცხენის მოსართავი, 37. სტიმულიატორი, რომელსაც თავდაპირველად იყენებდნენ საცხენოსნო სპორტში, 38. სპეციალური ასასხლეტი მოწყობილობა.

შვეულად: 2. ტანვარჯიშული იარაღი, 3. ცხოველი, რომლითაც სპორტსმენები ასპარეზობენ, 4. ფეხბურთში 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გმირი, 5. მძლეოსნობის სახეობა, 7. უკრაინის ქალაქი, ერთ-ერთი საფეხბურთო ცენტრი„ 8. სპორტსმენის გადაჭარბებული თავმოყვარეობა, პატივმოყვარეობა, 10. სპეციალური ადგილი სიგრძეზე ხტომისათვის, 11. მსროლელთა საასპარეზო, 14. ჩემპიონის შესამკობი, 15. საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში, 16. შვედი ჩოგბურთელი, 18. სიგრძის საზომი ერთეული, 20. ცხენოსნის ჩასაცმელი, 23. ბრძოლის წარმოების მეთოდი, 24. ერთ-ერთი სამიზნე სროლაში, 28. სპორტული გაერთიანება, 29. დასავლეთში ფართოდ გავრცელებული თამაში, 32. ქართველი ფეხბურთელი, 33. შიშით თავზარდაცემა, 34. შეფასება ძიუდოში.

### „ლელოს" 24-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

შვეულად: 1. ლაზიერი, 2. ბრინჯაო, 3. ბლიცი, 4. ეპოქა, 5 ადიდასი, 6. სიმაღლე, 9. კიკერი, 10. ლეგალიზაცია, 11. ფეხლევანიდი, 15. სერხი, 16. არენა, 19. ხარიხა, 20. ექსედრა, 21. ასტურია, 23. უტევანი, 24. არითმია, 27. პორტო, 28. ისარი.

თარაზულად: 7. ავტორალი, 8. იპოდრომი, 12. ისკრა, 13. ურუგვაი, 14. უსახელო, 15 სარმა, 17. ოლივეირა, 18. კენტავრი, 22. იჯარა, 25. ექსცესი, 26. სტაიერი, 27. პაიჰი, 29. რაგბისტი, 30. ტრენინგი.

# პაუელი 10 მეტრზე გადახტომას აპირებს

მსოფლიოს ამჟამინდელი რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში მაიკ პაუელი თავდაჭერილი კაცია და არასდროს არ გამოდის პრესაში კატეგორიული განცხადებებით. ამდენად, გასაკვირია მისი ამასწინანდელი ინტერვიუ პრესკონფერენციაზე, რომელზეც მსოფლიოს რეკორდსმენმა თქვა:

— 29 ივლისს კოლორადო სპრინგსში, ამერიკელ მძლეოსანთა ოლიმპიურ ფესტივალზე შევეცდები გავაუმჯობესო მსოფლიოს რეკორდი და ალბათ წარმატებასაც მივაღწევ!

ჟურნალისტთა კომენტარი ამ სენსაციურ განცხადებაზე მოკლე იყო: როგორც ჩანს, რეკორდსმენი დარწმუნებულია თავის შესაძლებლობებში, ვინაიდან ასეთი რამ ადრე არასდროს უთქვამს.

თუმცა, ამ ცოტა ხნის წინ, პაუელის მწვრთნელს ვიწრო წრეში აღუნიშნავს, რომ მაიკლი 10-მეტრიანი ზღვარის დასაძლევად მზად არისო.

შეგახსენებთ, რომ პაუელმა თავისი ფანტასტიკური რეკორდი სიგრძეზე ხტომაში — 8,95 მ. დაამყარა 1991 წელს ტოკიოში, მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე. მანამდე კი, არანაკლებად ფანტასტიკური რეკორდის (8,90) ავტორი იყო მეორე ამერიკელი მხტომელი ბობ ბიმონი, რომლის შედეგმაც მთელი 23 წელი იარსება.

## პროფესიულ რინგზე

მსოფლიოს ექსჩემპიონმა კრივში რიდიკ ბოუმ 3 ათასი დოლარი შესწირა ფილიპინელი მოკრივის როდოლფო იაპას ოჯახს. როგორც ცნობილია, იაპა მეხის მსხვერპლი გახდა, როცა თავისი სახლის სახურავზე სატელევიზიო ანძას აყენებდა. ამას გარდა ბოუმ 2000 დოლარი აჩუქა ფილიპინების მოკრივეთა ნაკრებს, რომელიც ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება.

როგორც ჟურნალისტები ფიქრობენ, ჯორჯ ფორმენი ალბათ უარს იტყვის გერმანელ აქსელ შულცთან მატჩ-რევანშზე. მსოფლიოს ჩემპიონს, მათი თქმით, ხელს არ აძლევს ჰონორარის განაწილება. იგი თავისთვის ითხოვს შემოსავლის 75 პროცენტს, მეტოქეს კი მხოლოდ 25-ს უტოვებს. არ არის გამორიცხული, რომ ფორმენს, უბრალოდ, ეშინია და ამიტომაც აყენებს ასეთ მიუღებელ პირობებს. შეგახსენებთ, რომ 46 წლის ჩემპიონს მოკრივეთა მსოფლიო ასოციაციამ ჩამოართვა მას ოქროს ქამარი, ვინაიდან უარი თქვა ტონი ტაკერთან ორთაბრძოლაზე. ახლა მან შეიძლება დაკარგოს ჩემპიონის ტიტული მეორე ვერსიითაც.

მსოფლიოს ექსჩემპიონი მძიმე წონაში, 60 წლის ფლოიდ პატერსონი გახდა ნიუ-იორკის შტატის ადმინისტრაციის სპორტული კომისიის პრეზიდენტი. ამ კომისიას გადამწყვეტი ხმა აქვს მოკრივეთა შეხვედრების ორგანიზაციაში (ცხადია შტატის ფარგლებში). პატერსონს განზრახული აქვს კომისიის მუშაობაში მოიზიდოს ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი, მათ შორის, მაიკ ტაისონი.

პიტერ მაკნილი, რომელიც 19 აგვისტოს მაიკ ტაისონს უნდა შეხვდეს ლას ვეგასში, დარწმუნებულია, რომ უსათუოდ მოიგებს ბრძოლას. მისი აზრით, ტაისონი ის აღარაა, რაც იყო — დაკარგა სისწრაფე და ძალა. ჩემი შანსია, არ მალავს იგი, ერთი ძლიერი დარტყმა და... ნოკაუტი. მაკნილი 26 წლისაა და ცხოვრობს ბოსტონში.

ევროპის ჩემპიონის ტიტული მძიმე წონაში შეინარჩუნა ფრანგმა ლორან ბუდუანმა. მეექვსე რაუნდის მიწურულს მან ნოკაუტით აჯობა ბელგიელ პატრიკ ვუნგოს. ეს ორთაბრძოლა გაიმართა ლევალუა-პერეში (საფრანგეთი).

## მოჭადრაკეთა ახალი რეიტინგი

გამოქვეყნდა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ვაჟთა და ქალთა ახალი რეიტინგები (1995 წლის 1 ივლისისათვის). გაგაცნობთ სამეულებს და საქართველოს წარმომადგენელთა მიერ მოპოვებულ ადგილებს.

**ვაჟები.** 1. გარი კასპაროვი (რუსეთი) — 2795 ქულა, 2. ანატოლი კარპოვი (რუსეთი) — 2775, 3. ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) — 2740. ვაჟთა სიაში უნგრელ მოჭადრაკე გოგონას იუდით პოლგარს XXII-XXVI ადგილები აქვს მიკუთვნებული — 2635 ქულა. ასეულში არის ორი ქართველი დიდოსტატი: **ზურაბ აზმაიფარაშვილი** (42-ე ადგილი, 2620 ქულა) და **გია გიორგაძე** (54-ე ადგილი, 2605 ქულა).

**ქალები.** 1. იუდით პოლგარი (უნგრეთი) — 2635, 2. ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) — 2565, 3. სუ ჟუნი (ჩინეთი) — 2590, 4.პია კრამლინგი (შვეცია) — 2510, **5. მაია ჩიბურდანიძე** (საქართველო) — 2500, 6. სოფია პოლგარი (უნგრეთი) — 2485..., **8. ნანა იოსელიანი** (საქართველო) — 2475 (ამდენივე ქულა აქვს უკრაინელ ალისა გალიამოვა - ივანჩუკს)... **12. ქეთევან არახამია** (საქართველო) — 24.20... 19. ნონა გაფრინდაშვილი (საქართველო) — 2390,... 28-33-ე. **ქეთინო კახიანი-გერშინსკა** (გერმანია) და **ნინო გურიელი** (საქართველო) — თითოეულს 2360... 37-41-ე. **ნანა ალექსანდრია** (საქართველო) — 2350.

**გოგოები... 9. ნატო ეძგვერაძე** (საქართველო) — 2320, 15-16. **ნინო ხურციძე** და **მაია ლომინეიშვილი** (ორივე- საქართველო) — თითოეულს 2295.

## ინფორმაცია

უიმბლდონის ტურნირსა და აშშ-ს ღია ჩემპიონატში გამარჯვებულ პირველ შავკანიან ჩოგბურთელს ამერიკელ არტურ ეშს მშობლიურ რიჩმონდში ძეგლს დაუდგამენ (ეში, როგორც ცნობილია 1993 წელს გარდაიცვალა). ძეგლის დადგმა განზრახულია 1890 წელს აღმართული ობელისკის წინ, რომელიც სამოქალაქო ომის გმირის გენერალ რობერტ ლის ხსოვნისადმი არის მიძღვნილი.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ქ. შოშიტაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯიღაური.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე